

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატბიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 6.

იანვარი 30, 1894 წ.

№ 6.

შინაზსა:—ანერის ანუ ანტვერპენის მსოფლიო გამოფენა 1894 წ. კვიპატისა.—გლენის დასაფლავება, ი. ჩვირმელისპირლისა.—
ორიოდ სიტყვა მამასხლისებზე ხაკო უჩარდიისი.—საყურადღებო ცნობები.—X—ს ლექსი დღეტუ მეგრელისა.—ზღვის ძირში სიერობა
ან. თ-წ—სა.—„შოამზე“ (ზობლოგრაფიული გარჩევა გ. წერეთლისა. ჩვენი ქვეყნის რაინდი ე. ნინოშვილისა.—ცერბო განცხადება.

ანერის, ანუ ანტვერპენის მსოფლიო გამოფენა 1894 წ.



ანერის მსოფლიო გამოფენა გამართება ბელ-
კის კაროლის მფარველობას ქვეშე, მისივე და
ხმარებით ამ წლის მაისს ბელგიის სატახტო ქა-
ლაქში ანერში, ანუ ანტვერპენში. ვინც ოც-და-ოთხ
აპრილამდის არ მიიტანს იქ თავის მამულის, ან მანდ-
ბის ნაწარმოებს, შემდეგ აღარ მიიღებენ. ამ გამო-
ფენაზე მოწოდებულნი არიან ყველა გარეშე სახელ-
მწიფოები და შორეული ქვეყნები, ვისაც კი მნიშ-
ვნელობა კარგად ესმის მსოფლიო გამოფენისა. სხვა-
თა შორის რუსეთის მთავრობასაც განცხადებული
აქვს, რომ თავის საბრძანებლოს კუთხეებიდან ყო-
ველნაირი ნაწარმოები მიაწოდოს ანტვერპენის გა-
მოფენაზე. როგორც ყოველთვის, ახლაც მთავრობას
ეს საქმე მნდობილი აქვს საეაქრო და სამრეწველო
დებარტამენტისათვის (Департаментъ торговли и
мануфактуръ). რადგან აქამდის ამ დებარტამენტი-
დან ჩვენი საქართველოს მწარმოებელთა ცნობები არ
მოსვლია, საეკვია, რომ საქართველოდან ბევრი ეი-
ნმე დაესწროს, ან მიიტანოს ამ გამოფენაზე თავისი
ნაწარმოები, ამისთვის რომ საქმე დაკვიანებულია.
რასაკვირველია, როგორც წინეთ ყოფილა, ახლაც

ისე იქნება, რომ რამდენიმე ჩვენი ქვეყნის მწარმო-
ებელთაგანი, როგორც მავალითად, დ. სარაჯიშვი-
ლი, ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონი, თ. ჯორჯაძის
ფირმა და იქნება ორმა, ან სამმა ქვაგუნდის მება-
ტრონებმა გაგზავნონ თავის ნაწარმოებთა ნიმუში,
რომელნიც, რასაკვირველია, როგორც რუსეთიდან გა-
მოგზავნილნი, ისე ჩაირიცხებიან და თვით მწარმო-
ებელნიც, როგორც რუსები, ისე წარდგებიან მსო-
ფლიო გამოფენაზე მაგრამ ამითი ხომ საქართველოს
თავისი ფერი-და-ერი არ მიეცემა. ანერის მსოფლიო
გამოფენაზე წელსაც, როგორც აქამომდე, იქნება ერა-
თი საზოგადო. რუსეთის წარმოების განყოფილება და
მეტო არაფერი.

საქართველოს ყოველნაირმა წარმოებამ, მისმა
ბუნების, განების და ეროვნების თავისებურმა ხა-
სიათმა და სიმდიდრემ რომ თავი იჩინოს, ამას სულ
სხვა მომზადება და თავის გამოდგება ეჭირება ჩვენი
მხრით. ჩვენში რომ შეგნებულნი და კულ-შემატიკი-
ვარი საქმით მოიძებნებოდენ, საქართველოს წარ-
მოებას რუსეთის ერთა შორის თავის საკუთარი განყო-
ფილება უნდა ჰქონდეს მსოფლიო გამოფენაზე და იმ
კუთხეს რუსეთის განყოფილებისას, საცა საქართვე-
ლოს ნაწარმოები იქნება ლამაზად დაბრუნებული,

ზედ-წარწერა უნდა ჰქონდეს, რომ აქ ამ ვიტრინაში, ანუ შუშმანდში, საქართველოს ერის ყოველ-ნაირი წარმოების ნიმუშთა დაწყობილი ისეთ რიგზე, რომ უცხოელმა, ვიტრინაში შესულმა, დაწერილობით უნდა გაიკნოს, საქართველოს ერის განების განვითარების ნაყოფი: მისი წიგნები ძველი და ახალი, მისი ჟურნალ-გაზეთები, მისი ჩუქურთმის ხელობა, მისი ხუროთ-მოდღერების ნიმუშები, მისი სხვა-და-სხვა ქსოვრები, მისი სხვა-და-სხვა მეურნე-ნობის, მრეწველობის, მანქანობის წარმოებანი; ტყისა და მინდვრის სიმდიდრე, მრავალ გვარი სამხედრო და სადღესასწაულო მორთულობა და სამკაულები, ერთი სიტყვით ყოველივე ერთად, რომ ევროპის წარჩინებულმა ხალხმა შეიტყოს, საქართველოს დღემდის არ დაჰკარგვია თავის ეროვნება, დღემდის მის ძარღვში ფეჭოს მჭექაურე ცხოველი სისხლი მომავალის წარმატებისა და განვითარებისათვის. ამანვე ყველას რუსეთის მთავრობა ჩვენთვის არ იკისრებს, რადგან რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს უმისოვარ ბევრი სათავეცაო საქმე და ხარჯი ექნება, რომ მსოფლიო გამოფენაზე დიდებული და ძლიერი რუსეთი თავის მრავალ გვარი ტომებით შესაფერად გამოჩნდეს. მაგრამ რასაც მთავრობა არ იკისრებს, ის ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ ჩვენი წარმომადგენლების მეოხებით გამოფენაზე. ერთი რომ, როგორც წინა „კვალის“ ნომერში იყო ნათქვამი, უნდა დაეაარსოთ მსოფლიო გამოფენის ქართველთა კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს იმაზე, რომ რაც შეიძლება ბევრი გამოფენელნი წარსდგენ იქ საქართველოდან, მათი საქონლის ნიმუშები დაუზიანებლად მივიდეს გამოფენაზე; ამასთანავე მას უნდა ჰყუდეს გამოფენაზე გაგზავნილი რამდენიმე საქმის მკოდნე წარმომადგენელი კაცები, რომ იქ რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებთან და ბელგიის გამოფენის მთავრობის კაცებთან იზუადგომონ, საკმაო ალაგი იზოფონ ვიტრინასათვის, და იქირაონ, მოაწიონ იქ ნაწარმოები შროიანათ, რომ ზედ უცხო ქვეყნელის თვალი დაადგეს და მიიტკიოს მისი ყურადღება. ყველას ამას ხარჯი მოსდევს და ხარჯი არა მცირედი, მაგრამ ის სარგებლობა, რაც ამ საქმიდან გამოვა, ერთი ათასად შესაძენი იქნება ჩვენი ქვეყნისა და ერისთვის. უტყველია, ასეთს ხარჯს კერძო კაცი ვერ იტვირთებს; მაგრამ აქ ამ საერთაშორისო თავის მოწონებისათვის მთელმა ჩვენმა ერმა უნდა იზრუნოს და მის საზოგადო დაწესებულებათა. ჩვენმა საადგილ-მამულა ბანკებმა მიუტილებლად უნდა გადალენ ამ საენისათვის საქმა ფული

და ჩვენი თვალ-აზნაურობა უნდა შეუდგეს ამ საქმის დამთავრებას.

მაგრამ რაკი დღეს ჩვენ არც გამოფენის კომიტეტი გვაყავს, არც არაინ კრძოთ ზრუნავს ამ საქმეზე, ამისთვის დღეს-დღეობით ზოგიერთ კრძო პირებს მიიწვ გადაცემთ ანეერის მომავალის გამოფენის საქორა წესებს, იქნება ეინშე გამოჩნდეს და იკისროს თვითონ თავის-თავთ მიიწვ ამ გამოფენით სარგებლობა.

„ანეერის მსოფლიო გამოფენა მიიღებს ყოველ-ნაირს სახელოსნო და სამრეწველო სამეცნიერო, ხელოვნებათა ნაწარმოებს, აგრეთვე მიიღებს ყოველ-ნაირს სავაჭრო საქანელს, რაც კი გადის მსოფლიო ვაჭრობის ზაზარში.“

ამავე დროს საკაროლო საზოგადოება, შენიეროთა ხელოვნებათა წამჭებელი, გამოუცხადებს მთელი ქვეყნის ოსტატებს და ხელოვანებს, რომ იგი აპირებს გამოფინოს ნიმუშები მხატვრობისა, ქანდაკისა, ჩუქურთმისა, ხუროთ-მოდღერებისა და ხარატობისა.

განზრახვა აქეთ აგრეთვე შინაური ცხოველები სხვა-და-სხვა ჯიშისა გამოიყვანონ, გამოფინონ ხეილები, ხილი ყოველგვარი და ნაყოფი მიწისა, ყვავილები და მწეანილეულობა. გამოფენა დაწყება მამის და განიგრობა 6 თვის 12 ნოემბრამდის.

საქონლის დასაწყობათ ერთი კვადრატის მეტრის სიდიდე ადგილი ედირება 90 ფრანკად, ანუ ოცდა-თუთხმეტ მანეთად. მეტრი არის ნახევარ საყენე ცოტა ნაკლები.

ჩვენმა გამოფენელებმა ახლავე უნდა მიმართონ რუსეთის სამრეწველო და სავაჭრო დეპარტამენტს პეტერბურგში შემდეგი ადრესით: **Въ Петербургъ, Департаментъ мануфактуръ и торговлы,** თუ უნდათ, რომ მიიღონ დაწერილებითი წესები ანეერის გამოფენისა.

კვირტი

გლეხის დასაფლავება

(ნადსონის კილოზე)



ასმის სოფლად სკვდანი სამარის წყრი, წმინდაო დქერთოსა გლობა და ტირაილი მწარი. რას ამბავა? გდაცვლად გლეხი საბრადლო, და მოვლებია დახარულდის სიფიცხლესი ბოლო. ის მოციქულია იყო შრომის და მოთმინებას, და იმას გულში დეკვად გქცხლა პატარისნების. ეკლოვანს გესე მკვადი მქუადი ოსრავად,

დედა-მამას უსჯად ოფლით და სისხლით ოწყედა.
 შუა-დღეს სიცხე ჰქვს უწყედა, კანს უშეკება,
 ჭრ-ჟირსა ზრავდა, ნისლი წეითი დასეკებდა.
 არ ასეკებდა სულის გმინა, გულს ტკეპილი,
 ტარილი სხლში და გარეთა-კადე ტარილი...
 დღეს მის დამარხვას გააჩხადეს გლოვის წაო,რ,
 თითქოს იმისი შეხუბლითა გულგანახარით.

კაშს! შენს მკვას, მოგჩქელო მოთმინებას,
 ზარჩაღა შენს მოთმინებას, შრომისა შეილა!
 საივლეში გელის ბინა ტკეპილის მოსეკებას,
 მართადა არას ცხოვრებაშნ მღაერ დაჯანგრა
 და კერ ხარობდა კერასოდეს თავა-ღრემლიანი,
 მაგრამ კაშ შენს მოთმინებას, კაშა შენს შრომას!
 შენ აუჯ დირსი და ჩნადეილა ადამიანი!

ილ. ჩხერიშელისპირელი



ორიოდ სიწყეა მამასასლისებზე

ტყველა ახალის წლის მაღალ ფრანებით და მხურვალე გრძობებით მოლოცვისა, მე ჩვენის სოფლების წეს-წყობილების უსულმარ-თობაზე გამოცესაუბრები დღეს „კეალის“ პატიე-ცემულ მკითხველებს!

16 დეკემბერს წარსულის 1893 წლისა სოფელ კოტიანეთის (სენაკის მაზრაშია) მცხოვრებმა ერთმა აზ-ნაურმა აჩუქა მოყვარე გლეხს თეკლათის მცხოვრებს —ამავე მაზრაშია—ერთი ძროხა (კოტიანეთიდან თე-კლათამდის 12 ვერსი იქნება). „ყაზახმა“ წაიყვანა ძროხა ნაშუადღეის ორ საათზე, მამასადამე ანვა-რიშით შინ უნდა ყოფილიყო საღამოს; მაგრამ და-ავგიანად მეკობრისას ძველ სენაკში საღამომი და საღამოს კი ვასწია ძროხანაღდ შინ (ძველსა და ახალ სენაკს შუა შვიდი ვერსია). სწორედ იქნებოდა შეი-დი საათი, როცა მგზავრი მიუხალოვდა ახალ-სენაკს ვერს ნახევრის მანძილზე. ამ დროს მას შემოეყარენ ორი ცხენოსანი, ახალ-სენაკიდან მომავალნი. „ჟინა ხარ, ყაზახო, შენ, ან საიდან მოგყავს ძე ძროხაო?— ჰკითხა ერთმა ცხენოსანთავანმა.— მე აქაური ვარ და ძროხა კოტიანეთიდან მომყავსო, უპასუხა ძროხიანი-მა.— მოგვეცი ძროხა, თვარა თავს გავადღებინებთო!— ყაზახმა არ დაანება, მაგრამ დაურთეს მათრახები და, როცა კვირა მორთა დაჩაგრულმა, მამშინ ცხენოსნე-ბმა იშოშელეს—ერთმა ხმალი და მეორემ რველ-ვერი და შეაშინეს,—ნათქვამიკაა, „ორი ერთზე ლაშქა-რიაო“ და წაართვეს ძროხა. გამოუდგა დამარცხებული უკან და მორთო ყვირილი, მაგრამ (ვედრის გამო?) არა-ვინ უშველა. გზაზე რომ ხსნა ვერ იბოვა, ძველ-სენაკში შეირბინა ყაზახმა და ნაქალაქევის „უჩასტკის“ ბო-ქაულს მოახსენა გარემოება: „კეალ-და-კეალ მოე-სდევ, ბატონო, აუხაკებს, დამლუბეს, ძროხა წამარ-თვეს და მიშველო“. ბოქაულმა კაცთ-მოყვარება იჩი-ნა და აფრინა კაცები გზის შესაქარავად, მაგრამ ვერა ფერი იბოგეს. ეს ამბავი მწუხებელმაკ ვაიგო. ვაი-

და მას შემდეგ სამი დღე და მოვიდა ამბავი—ძროხა ეკის საზოგადოებაში დაადგესო (ეკი ძველი-სენაკის ჩრდილოეთით ძვეს ექვსის ვერსის მანძილზე). წაეი-და პატრონი ძროხის ჩამოსაყვანად და ამზის ვასავე-ბად, და, აი, რა ვაიგო: ერთს ტლაპოში ჩაჩხილა ის, ვისაც მიჰყავდა ძროხა. ისეთი მაგარი საფლობი ტლაპი აღმოჩენილა, რომ ამშანავს მარტო ვერა უშველია რა და ამიტომ დაუძახნია მოსახლეებისათვის მისაშველებლად. მოსულან ახლო-მახლოს მოსახლე-ნი ქალი და კაცი, დღი და პატარა; უხსნიათ და-ხრობისაგან ტბენიც და კაციც. როცა უკითხავთ ვინაობა, აღმოჩენილა, რომ ეს ეაქბატონები ბრძა-ნებულან ერთი მამასახლისი და მეორე მისი „სბო-რ-ჩიკი“ ყოფილა, თუ მწყრალი ლესიჭინის საზოგა-დოებისა, არ ვიცი, გვარად კი სიქინავები ყოფილან. უთქვამთ ხაზინაში ფული შეერთაწეთო და აქეთო-ბას ძროხა წამოიყვანეთ მოყვრის სახლიდანო. იმ დამეს წასელა ვერ მოუხერხებიათ მგზავრებს, თუ-მცა ეკიდან ლესიჭინე ახლოს არი—რადგან დალი-ლან და რაღაც შიშმა ავეტიანაო—უთქვამთ. იქვე ახ-ლო აღმოჩენიათ მათ მოყვარე და იმ დამეს იქ გაჩე-რებულან.—უტყველად მასპინძელი სტუმრებისაგან გაიგებდა ძროხის ისტორიას და, რადგან იგი ძლიერ კარვად იცნობდა ძროხის პატრონს, იმიტომ გადა-უწყვეტიათ ძროხის დადგება. მეორე დილას ძროხა კანცელარიაში წარუდგენიათ. აი, უფრო არსებითი მხარე ფაქტისა. ახალის წლის წინა დღებში ზემო-სენეგულმა ბოქაულმა ძროხის პატრონის სურვილით მოაყვანინა ძროხა და დაიბარა მოწმები (იყენენ 7), რომ-ღებმაკ ერთხმად აღიარეს, რომ ეს ძროხა მიჰყავდა ლე-სიჭინის მამასახლისი სიქინავისა და მეორე დილას გა-შვებული ნახეთო. ამაზე შესდგა შესაფერი ოქმი და იქეს გარეშე ვართ, რომ გადასცემენ მართლ-მსა-ჯულეებას. რითი გათავდებდა ეს საკვირველი საქმე, ამას მომავალი გვიჩვენებს. მხოლოდ მე მივაქცეე მკითხველთა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ლე-სიჭინელი ჩაჰარდა საფლობს ლაფში ეკის სოფელს.

ერთი, რომ ეკი და ლესიკინე მეზობელი სოფლებია და მეორე რაკი ამ ადგილის მახლობლად მოყვარე ჰყოლიათ ამ საკირიელ რანდებს, თქმა არ უნდა, ცალკინებოდათ იქ რომ, ასეთი გზა იყო. მაშ რამ ჩასჩივა ასეთს უბედურს ტლაპოში ვა უსინდისო მეგრელები. თუ არა უხილაემა განგების დიდმა და მართლ-მსაჯეელმა ძალმა? — რომ თქვას, კაცმა ეჭვარბოდენ შიშის გამო და იმიტომ მოუფიქრდათ ესეთი უბედურებოა, არც ეს არის მისაღები, რადგან, რაკი ვეს მიანეს, მერე დამხლამი არაიენ ვეგულეობდათ ამ ახალ „მოლის“ „აზრეებს“... მერე რატომ მაინც და მაინც ის ჩივარდა, ვისაც ძროხა მიჰყავდა? ის ხომ უკან მიწადალა: „აქ გზებია ავი, მე წინ გავიტოლები და შენ ნელ-ნელა უკან გამოიყვითო, უთქვამს მამასახლისს (ჰოი, სირცხვილო, რატომ არ ძალგის კაცის მოკელა?!). დიად, ვის როგორც უნდა, ისე იფიქროს, მაგრამ მე აქ და მრავალ ამისთანა შემთხვევაში მწიხარ ძლიერი რისხვა, რომელიც გზას უკრავს აღიერ-წახსნილს სითამამეს და უნამუსობას! გაიარე კადეე ორი არზონი და ხომ დაიკარგა უგზო-უკელოდ პატოსანის კაცის საქონელი, მაგრამ, აი, სადაც უშოშარი ჰგონია ავის, ბოროტების ჩამდნეს თავი, იქ მას ღმერთი გაუწყრება, იქ არის მისთვის საწინელი განაჩენი... ახლა ორიოდ სიტყვა თეთ ბოროტების ჩამდნეზე: თუ კი ღამის სიბნელემ ისე გაათამამა უსინდისო მამასახლისი, რომ ეგრესტ ნაუერის მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც მთელის მახრის მმართველ გამგებელნი სხედან, ხელიდან ძროხა გამოსტაცა საწყალს გლეხს, ერთი მიბრძანეთ, ღეთის გულსთვის, რას უნდა ჩადიოდეს იგი იმ საზოგადოებრივ სიბნელეში იმ საზოგადოე-

ბაში, რომელიც მახრადან ორმოცის ეგრესტის სიშორეზეა და რომელშიაც იგი ასე „უკონტროლოდ“ ფარუშობს? — წარმოდგენა მის მოქმედებათა და მისთა შედეგთა, თითქმის შეუძლებელია!.. კიდევ კარგი, თუ ასეთი საქმე მხოლოდ იმ ერთს მამასახლისს სჭირს, მაგრამ მაგარი და უბედურობაც ის ვახლავს, ჩემო ბატონო, რომ ყველა მამასახლისები ერთი მეორეზე უკეთესები არიან ამისთანა შემთხვევებში... საკირიელემა ისაა, რომ ასეთს უნამუსოებს ირჩევენ და დაადგენენ მამასახლსად. ვერ ავიხსენია საზოგადოების ასეთი საქციელი, მაგრამ ვერც მას მიზნდარავართ, თუ ისინი რალას შერებთან, ვინც ამ არჩევნებში ესწრებიან! — რატომ არ იციან ის საგანი, მამა-ცონებულემა, რომ „ერის ბედაა, თუ დაჯდა კარგი რამ გამგებელია!“ ვინ არ დამეთანხმება, რომ მამასახლისებს დიდი ზნეობრივი გაელენა აქეთ ხალხზე? ჰო, მიბრძანეთ, რა რიგ უნდა უქირდეს ჩვენს სოფლებს, სადაც სახლის მამებად მოხსენებულისთანა პირებია და ან რა უნდა გააკეთოს იქ ორმა და სამმა პატოსანმა? სასოწარკვეთილებში ჩაერდნა სისუსტეა ხასიათისა და შეუფერებელი კაცის ღირსებისა, მაგრამ მარალის თქმა კი საეაღდებულთა ქრისტიანთათვის. ამისთვის ვამბობთ, რომ ახლანდელი ჩვენი სოფლები უკრუხოდ დარჩენილ წიწილებს მოავგონებენ კაცს. კარგი მამასახლისები, სწორედ, ბალზამია ხალხისთვის; მამასახლისს უნდა ესმოდეს თავის ხალხის წარსული და უნდა ჰხედდეს მის მომავალს, თორემ ისე, ანა რა მამა იქნება? უფულო და უთავო მამასახლისი, სწორედ, ლესიკინეებს მივსგავსებ, რომლის მსგავსებისაგან ისხანს უფლამ ჩვენი უმისოდაც ათავგარად დასჯილი სოფლები!

ბაკო უჩარდია



სეზუნადღებო ცნობები

სუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენლობის შესახებ ქუთაისის ქალაქში მომხდარა არაჩვეულებრივი სათავად-აზნაურო კრება, რომელზედაც დასწრებია ორმოცი წევრი, კენკის მექანი, და გადაწყვიტა საქმე შემდეგ წინადა: ბანკის წევრთა წარმომადგენელნი ყოველ საბანკო კრებაზე რიცხვით ორასზე მეტი არ უნდა იყვნ. ისინი უნდა აღირჩენ სამის წლის ვადიდ.

სამს წელს შემდეგ უნდა მოხდეს ხოლმე ყოველ მახრაში საბანკო კრების წარმომადგენელთა ამოსარჩევთა სამახრო კრება ბანკის წევრთა. თეთ

ქალაქი ქუთაისი ერთ ამ საარჩევნო მახრად უნდა ჩითვალოს და იქ შეუძლიათ მოგროვდენ ის ბანკის წევრნიც, რომელნიც ქუთაისის მახრებს გარეთ ცხოვრებენ. ქუთაისის მახრამ უნდა ამოარჩიოს ოცდათუთხმეტი (35) წარმომადგენელი, შორაანისამ აგრეთვე ოცდათუთხმეტი (35), სენაკისამ — ოცდაათი (30), ზუგდიდისამ — ოცდახუთი (25), ოზურგეთისამ — ოცი (20), ლეჩხუმისამ — თუთხმეტი (15) და ქუთაისის ქალაქმა ოცი (20). ყოველ ხუთს წარმომადგენელს უნდა დაენიშნოს ერთი კანდიდატი. საარჩევნო კრებები წარმომადგენელთა ამოსარჩევად უნდა მოუწოდოს ზედამხედველი კამიტეტის თავსჯლო მარემ ყოველ მახრის ქალაქში არა უგვიანეს აპრი-

ლის თვისა. მახრის საარჩევანო კრება დანიშნულ ვადაზე გაიხსნება, რამდენიც უნდა მოგროვდეს ბანკის წევრი, სულ ერთია. ყოველ მახრაში მახრის მარშალი, ან მისი მოადგილე უნდა იყოს კრების თავმჯდომარე, ქ. ქუთაისში კი ერთი რომელიმე ზედამხედველი კომიტეტის წევრთაგანი დანიშნულე ბისამებრ. წარმომადგენლების ამორჩევა უნდა იყოს კენჭით, კრებაში მონაწილეობა ყოველმა წევრმა ბანკისამ პირადად უნდა მიიღოს, ვეჭილამით ხმის გადაცემა არ იქნება. ყოველს წევრს, კრებაზე მოსულს, ერთ ხმაზე მეტი არ უნდა ჰქონდეს. საერთო დაგვირგვინულ მამულის პატრონთაგან მხოლოდ ერთს კაცს ექნება ხმა, თუ სხვა მონაწილენი არწმუნებენ. ასეთი პროექტი ქუთაისის ბანკის წესდების ცვლილებისა წარუდგინეს ქუთაისის სამხედრო ლუბერნატორს, რომ მისი შეთხებით მიწისტრმა დამტკიცოს იგი და სანამ ეს პროექტი არ დამტკიცდება, ქუთაისის ბანკის საარჩევანო კრების ნება არ იქნეს ნებადართული.


კახეთის ლენის მწარმოებელთა საზოგადოებას განუზილავს კახეთის ლენის სავაჭრო ბაზრის მდგომარეობა და დიდს მწუხარებაში ჩაეპარნილა, რადგან დაწერილობით შეუტყვია, რომ მას აქეთ რაც კავასიას აქეთა მხრის რკინის გზა გაკეთდა, განჯისა და ქუთაისის გუბერნიებიდან დიდძალი ლენო შემოდის ხოლმე ქალაქში და ფოთი ბაქო-ბათუმში, რადგან ეს ლენოები ძლიერ იაფად იყიდებიან. ამისთვის კახეთის ლენოების ფასი დაეარნდილა და მყენნახებების საქმე გაკარებულა. კახეთის ლენის

ბაზარი აღარ აქვს და იმასაც შიშობენ, რომ ვენახები შემცირდება, არამც თუ კახეთის ლენის წარმოების საზოგადოებას რამე წამატება მიეცეს.

რა ეშველება ასეთს საქმეს?—სხვა არაფერი იმის მეტი, რომ კახეთის ლენოებს შესაფერი ბაზარი გაუნდეს და ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა კახეთის რკინის გზას გააკეთებენ. მაშინ კახეთის ლენო ისე დაიფლობს ყველა სავაჭრო ბაზრებს, რადგან მისი გადატანა გაიფედება და ღირსებით კი ვერც ერთი კავასიის მხრის ლენო მას ვერ მოუტეებს.

შარშან დიდი ამბავი მოხდა ტფილისის ქალაქში სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე თავდაზნაურობის სკოლის შესახებ. საზოგადოება გაიყო ორ ბანაკად. დიდი მითქმა-მოთქმა და ბასბი გამოიწვია ამ კითხვამ ჩვენ ჟურნალ გაზეთებშიაც. ძნელია კაცმა სხვა რაიმე იქვი შეიტანოს გარდა იმისა, რომ ყველას უნდოდა ჩვენი სათავადაზნაურო სკოლის სიკეთე. ამ განზრახვით მაშინ აღირჩეს სკოლის კამისია, რომელსაც უნდა წარედგინა მომავალი ბანკის კრებისათვის ამ სკოლის გაუმჯობესობის პროექტი. სამი თვე-და დარჩა საადგილ-მამულია წლითურ კრებამდის და დღემდის არა ისმის რა სკოლის კამისიის მუშაობისა. ნუ თუ მომავალ კრებაზე სკოლის კამისია ცარიელ-ტარიელ სიტყვებით წარდგება საზოგადოების წინაშე. თუ ასე მოხდა, მაშინ რაღა უნდა თქვან იმათ, რომელნიც სკოლის უფარვისობას ღალადებდნ და თვით ისინივე აღირჩია საზოგადოებამ სკოლის გაუმჯობესობის პროექტის შესადგენათ?

—Xს



ანიშნულ მიზნისაკენ გლგოლურ-ტყეში მიმავალს მოჰქვია უერნად საზარი ქარიშხალი. ჩამობნულდა გარშემო, კვლარ ვარსკვლავი გზა-კვალს, უსწრო სტრაღში გამოძვალა ძალი

ბოლოს რაღაც განგება შექვია საწყალსა; შეს ბინაზე მომაგლო დაღლალი-დაქანულია; შეს მსწრაფელ გამოელ კარბი, ნუგეში მერ მსჭრალსა, გამათბე, დამაშურე და კვლავ ჩამიდგა სული...

ღარი ისევე დადგა, მზე ისევე ამოვიდა, მეტი სულ დამევიწყდა დანიშნული მიზანი;

შენმა ნახეამ მომხიბდა, გონება წამოვიდა, გრმობა გავისემიფე და მას გვიც თავყანა...

ერთი შენი დამილა ნიშნით თანგერნობისა და მე გაღაქცილია შენ მონად, შენ თვის მტკრად, მსსკურული შეგაქნებოდა ბავშურ გატაცებისა, ჩემს ნაჭს გარდაგიშლიდი მთლად წინ თიანდისად!

მარამ მომხედა დემერთა, შენ ხმა აღარ გამეცა; მე ისევე მომაგონდა დაეწეპული ვადა; მთელი ჩემი არსება კვლავ ჩემს მიზანს მივეცა და კვლავ ახლას ძალით ვარ მისკენ მიმავალი...

ზღვის პირში სეირობა

მართი მგზავრი ასე მოგვითხრობს თავის თავ-
კადასავალს: ერთხელ, 1875 წელს, ნოემბერ-
ში შემთხვევით მომიხდა ქ. ტულონში ყო-
ფნა, ხმელთა-შუა ზღვის პირას. ქალაქის ქუჩებში
რომ დაესვირბოდი უცრად დამხვდა ერთი ნაცნო-
ბი ფრანკული ინჟინერი, რომელიც დიდი ცნობის
მოკერად კაცი იყო.

მიეხსენებოდა ერთმანეთს თუ არა, ნაცნობმა მა-
შინვე მითხრა ერთ უცნაურ ადგილს გამომეყვ სა-
სეირნოდო — ზღვაში გვირის კუნძულების კლდეები
უნდა ენახოყო და თან მიმეყვს გამოცდილი წყალში
მავალი კვილაოზია (ბელადი). ჯერ ძალიან მომე-
წონა ეს აზრი, მაგრამ ცოტა არ იყოს, შეეფიქრია-
ნდი, მომავლანდა, რომ ზღვას ქვეშ გამოცდილი მო-
სიარულე კაცისთვისაც საშიშოა ხოლმე ასეთი სეი-
რობა .. ბოლოს მაინც გადაწყვიტე გავყოლოდი,
ჯერ ერთი, რომ გამოცდილ კაცებთან არა დამი-
შაედებოდა-რა და კიდევაც ძალიან მინდოდა მენახა
წყალს ქვეშ რაღა ამბავი ჰქდებოდა.

იმევე დღეს ეიშოვეთ ყველა იარაღები და ტანთ-
საცმელი, რაც ამ მგზავრობისთვის საჭიროა იყო, ეი-
ჭირათეთ ნაფი და შეუდევქით ჩენი მიზნის ასრულე-
ბას.

ტანისამოსი როგორც ამ გვარ მოგზაურობას
შეეფერებოდა, რასაკვირველია, ყოველთვის ისეთი
იყო, რომ წყალი არ გაატანდა, რეზინისა და სპილენ-
ძისა, რომელსაც ფანჯრები აქვს ხოლმე მინისა, ამ
ფანჯრებიდან პატარა მილები ადის მაღლა ნავამდის
მაერის გამოსაცვლელად და ხმის მისაწვენად. ერ-
თმანეთთანაც უნდა გველაპარაკნა პატარა მილებით.
ფეხებზე საზოგადოდ ისეთ ჩექმებს იცვამენ, რომელ-
საც ტყეის სქელი ძირები აქვს, რომ კაცი წყალში
ფეხზედ მგარა დადგეს.

მოკერთეთ თუ არა ამ გვარ ტანისამოსით, ნა-
ეიდან ჩაეშოვთ წყალში. არ ეიცი, ჩემი ამხანაგი რას
გრძობდა, მე კი შემომგესმა რაღაც საშინელი ხმაუ-
რობა და გავფიქრდი, — ღმერთო ჩემო, ეს რა ამბა-
ეია?! წყალმა ხომ არ გაიგნო გზა ტანისამოსში, მა-
შინ რაღა მეშველება-მეთქი!.. და გულმა დამიწყო
ფანქალი.

ჩემი შიში ტყუილი გამოდგა; ჩვენ რო წყალში
ჩაეშეთ, წყლის პერმა ადგილი ევლარ იშოვა და
ამოვარდა. თურმე იმიტომ იყო ეს ხმაურობა.

მაღე გული მომიბრუნდა, თავისუფლად ამოვი-
სუნთქე და მამაცად სულ ძირს ჩავედი. წყალში ჯერ

თავი ცუდად ვიგრძენ, თვალები დამიბნენდა, სა-
ფეთქლებმა ცემა დამიწყეს, ყურებს წივილი გაჰქონ-
და, მაგრამ პატარა ხანს უკან ყველაფერს შეეჭვიფე-
თუშეცა მხოლოდ იმ საგნებს ეხედავდი, რაც ძალიან
ახლოს იმყოფებოდა, სამავიგროთ ეს საგნები გარ-
კვეით და მკაფიოდ მოჩანდა. რა კი ზღვის ძირას
ფეხი მაგართ მოვიციდე, თავი სუბუქათ ვიგრძენ,
ადილად ეცურავდი, მოძრაობა თავისუფალი მქო-
ნდა. ამ დროს ჩემმა მგობარმა ინჟინერმა მომიან-
ლოვა თავისი მილი სახაასოთ. მართლაც შეენი-
ერად ვაწუდენდით ხმას ერთმანეთს, ჩვენ მოვილაპა-
რაკეთ და გადაწყვიტეთ, რომ საცა ზღვის კლდეები
გვეგულებოდა იქით მარგეს წავსულიყავით, ნავსაც
ეაცნობეთ იქით მოეცადნა.

ჩვენ მიედოდით ყვითელ ქვიშაზე. შეენიერი
დიდ ძალი დიდი და პატარა ხამხგგება (ლოკოკი-
ნას ბუდებები) ეყარა, ზურაუხტის ფრად სცემდა აქა-
ურობა, რადგან მზე ძალიან შორიდან ანათებდა. მა-
ღე თვალ წინ წარმოგვიდგა საოცარი სანახავი. კლდე-
ები მოფენილი იყო მარჯნის ჭიბით. ამ გვარ მრ-
ავალ ფეროვანი მცენარეების და ცხოველების მახვე-
ლი ჯერ არ ეიყავი. ამათი მზიარული ბაეი ფერები
კაცის გულს აღებდა; ზოგი კლდეების ნაპარალიდან
ამოჰყოფდენ თავებს, ზოგი ქვების ქვეშდან, ზოგი
კი დასოცავდა ქვიშაზე. წყლის მწვანე ზღმურდლი
სინარზარით ირხეოდა მაღალ ლეროებზედ და ეს მო-
გვაკონებდა ახლად ამოსულს პურს, როდესაც ნიავი
აბიზინებს ხოლმე.

დიდ-ძალი თევზები დაგვტრიალებდენ და თა-
ვიანთ რვეალი თვალებით გაციებთ შემოგცქერო-
დენ. ამ მომზიბოლავმა სურათმა მე სრულიად გამი-
ტაუა.


კარკა ხანს დაესვირობდით. უცბათ ჩენი კვი-
ლაოზი შედგა და ბოლოს შიშით წაშოიძახა:

— არიქა, ფრთხილად თევზ-მახვილაა!..

ამ სიტყვებმა ამჯერაოლა. არა ერთხელ მომეს-
მინა ამბები ამ დიდ ძალოვან ეშა-თევზზე. მართლაც,
ჩვენ რომ შეენიშნეთ, ის თევზი სიდიდით საყენზე მე-
ტი იყო და მისი ბასრი, მავარი მახვილი არშინ ნახე-
ვარი სიგრძისა იქნებოდა. საღლა წაუდიდოდით.

— რა გავწყობა, უნდა თავი დაეცვათ, ფვი-
ქრობდი მე, — ჩვენ საშნი ვართ ახალგაზდები. იქნება
ბედმა არ გვიმტყუნოს! ხანჯლები ტყუილად კი არ
წამოვიდეთ!

თევზ-მახვილას ჯერ ვერ შეენიშნეთ, მერე რა-
კი დაგვიანა, ერთბაშად მობრუნდა და დაგეტაკა
თავისი მახვილა-ცხვირი. მაგრამ ჩენი კვილაოზი



ერთბაზად მობრუნდა და დავატაკა თავისი მახვილი ცხვირი.

ფხიზლათ იყო, მარჯვედ დაუხედა, ერთი ხელით მახვილი მავრად დაუჭირა და მეორე ხელით ხანჯალს დასცა მარტენა გვერდში. ჩვენც მივეშველეთ და ზღვა შეიღება ამ ეშაპის სისხლით. გამხეცებით ვცემდით თუ ზურგზე, თუ თავბირში, თუ მუცელში ხანჯლებსა. რომ ველარა გააწყორა ამ საშინელმა ცხოველმა, ბოლოს ღონე გამოვიღია. თავისი კუდი, რომელსაც ფარ-ხმალათ ხმარობდა, ძირს დაეშვა, მისი ბრაზიანი თვალები ჩაბნელდა და დალია სული.

ჩვენმა კვილაოზმა მხოლოდ მაშინ დაანება თავი და მკედარი ვეშაპი წყალმა აატივტივა.

ჩვენც მაშინვე აედით ზევით და ნაეში ჩაესხედით. გვეშინოდა კიდევ არ შეგვეფეთებოდა რა. მენავეებმა ეს თევზ-მახვილა მოამზადეს საკმელად. ჩვენ გემოთაც არ გვინახეს. ჩემმა მეგობარმა მხოლოდ ტყავი წამოიღო და გააკეთებინა საფთხური მოსავლენებლათ ზღვას ქვეშ მოგზაურობისა.

ან. თ.—წ.

„მოამბე“

თავურა ჟურნალი № 1

ბაბლიოგრაფიული გარჩევა: „მოცე მწერალი“ ე. ნინოშვილისა, „უცნაური ამბავი“ ილ. კავკაძისა, „ჩვენი ზინაური ამბები“ ნ. ნიკოლაძისა.



ამდგემა წელიწადმა იმის მეტიც რომ არა შეგვიძინოს რა, რაც ქურნალი „მოამბე“, მაინც კეთილსახსენებელი იქნება ქართულების გონებითი წარმატების ხანაში. ჩვენ განზრახ დაეგვიანეთ, ჩვენი აზრი წარმოგვეთქვა ამ პირველი ნომრის განხილვის შესახებ, რომ ჩვენს მტერ-მოყვრებს არ ესაყვედურებინა ჩვენთვის: „აი, „მოამბე“ ჯერ კიდევ არ გამოსულა და „კვალმა“ უკვე თავს დასჩხავლა მისი ნაკულღევა-ნებაო. რასაკვირველია, ჩვენ არ ვეკუთვით იმ რაზმს, რომელსაც არც ქებაში აქვს ზომა და არც უსაფუძე-

ლო ლანძღვაში; მაგრამ რომელი ჟურნალიც წასაკითხათ გავწოდებს აკაკი წერეთლის, ილ. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის და პროფესორის პეტრიაშვილის კალმის ნაწერებს ერთად, უნდა ვიფიქროთ, რომ იგია ქართული მწიფე გონების ნაყოფი; ხალხი როცა თვალწინ გვიძებს ასეთი მოწოდებული გონების ნაყოფი ქართული აზროვნებისა, მიუცოდებლად ჩვენნი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიქცეს უფრო მის ნაკულუღვანებაზე და აღვნიშნათ იგი, რადგან ღირსებას ხომ ყველა ცხადად დაინახავს და შეუბღალავთაც დარჩება.

საუბრეთსა სამკაული ჟურნალის „მოამბისა“ არის „მოსე მწერალი“ ე. ნინოშვილისა, „მღერალ ქალს“ ლექსი აკაკისა და „ღვინის დაყენება“, მეცნიერული სამეურნეო წერტილი პროფ. პეტრიაშვილისა. „მოსე მწერალი“ შესანიშნავი ხელოვნებითი ნაწარმოებია; ცხოვრების სინამდვილე ზედმიწევნით არის შიგ აღმოხატული. თეთი „მოსე მწერალი“ ახალი ტიპია ჩვენს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში, სრული რეალური თვისებით გამოყვანილი. დღემდის ყველანი შეეტრფოდით ჩვენი სახალხო სკოლების გამარაღებებს და ყოველს ამისთანა სკოლის გახსნას ქართული დღიური გაზეთი ალტაცებით ეგებებოდა: „ნეტავი ჩვენს ბედსო, რომ ერთი გონების ლა მპარი კიდვე დაერთო ქართველებსა და იმას კი აღარავინ კითხულობდა: ეს ლამაზი ხალხის გონების წყვილია და ში მართლა ანათება, თუ უფრო სინდელს ამუქებდა. რამდენადაც სანატრელი ყოფილა ასეთი სკოლების გამარაღება, ამის პასუხს ვაძლევეს. ნინოშვილი. იგი ჰკიდებს ყურში ხელს ასეთი სკოლის ნაყოფს, მოსე მწერალს, და გვეუბნება, აი, იხილეთ თქვენი ქებული სახალხო სკოლის ნაყოფი და დატბოთო! მოსე მწერალს კურსი გაუთავებია პირველ დაწყების სახალხო სკოლაში, უსწავლია წერაკითხვა, გამოცდილა ცხოვრებაში და დამდგარა სოფლის მწერლად ერთ მამასახლისთან. მის ზნეობრივსა და გონებრივს მხარეს მალე უჩნდა თავი; საწყალი სოფლის ხალხის ნაოფლარით მალე გასიცივბა მას კისერი, გაუზრდია ღიბი და მიჩვენა წითლიახ ბილითების ჯიბეში ტუნას. ბოლოს ისე შეყვარებია ეს საქონელი, რომ იმის შოგნის გულსითვის, არაფერს „პოდლოვებს“ არ ერიდებოდა. ასეთი მოქმედების შედეგი მალე აღმოჩნდა. მან დაღუბა სულით და ხარკით მრავალი სახლობა, სხვათა შორის ერთი მადლიანი ზნე სრული სამოც-დახუთის წლის დედულიცა, — ნამდვილი სულიერი მამა და დიდი გულ-შემატყეარი თავის მრევლისა, ქირში თანამოხი-

რე, მისი ნუფვში, მისი ტერითის შემსუბუქებელი. აი, ეს ღრმა მოხუცებულოც გამხდარა მსხვერპლი მოსე მწერლის გაუმამძრობისა. რომ იცოდნენ, რამდენ ამისთანა მართალი სული კაცი და ქალი, ჩხვილი და ძეძუ მწოვარი დაუღუბავს და ღაქარკავს მოსე მწერალს და უღბოოდ ჩაუკრიფავს სამარეში სულ „პოდლოვების“ კეთებით... როდესაც ამათი ბედ იღბალი გამოძიებლის წინ ამ ვეარად წყდებოდა, მოსე მწერალი იქვე იღვა და იმის მაგივრად, რომ მათი ცოდვით გულ-დამწვიარს შეენანებინა და წარმოეთქვა: „არა, ეს ხალხი უღანაშულოა, მე მოვანერხე ყოველივე ესე, მე შევაღვანე ეს ყალბი მოწოდებია“; — ამის მაგივრად მოსე უფრო თავის შეგებაზე ფიქრობს. კრინტიც არ დაუძრავს. ასეთი საოცარი ნაყოფი შიბაქვს ჩვენს სახალხო სკოლებს! ამას შემდეგ რა ვასაკერი უნდა იყოს, თუ ჩვენმა სახალხო სკოლამ ვერ დაიმსახურა ხალხის თვალში შესაფერი პატივისცემა. განა იმისთანა წერაკითხვის მცოდნეს, როგორც მოსე მწერალია, ის არა სჯობდა, ასეთი სკოლა სულ თვალთაც არ დაენახა ჩვენს ხალხს და იქ სწავლის მაგივრად მოსე მწერლისთან ახალგაზდებს თოხით მუშაობა ცოდნოდა?.. დიად, სამწუხარო და სავეალლო სურათს გვიყენებს ე. ნინოშვილი თვალწინ ზვენი დღევანდელი სახალხო სკოლების ნაყოფისას. იგი ცხადად გვანიშნებს, რომ დღევანდელს სახალხო სკოლას ენების მეტი სიკეთე არ მოაქვს, თუ რომ მისი პროგრამა ძირიანად არ შეიცვალაო. აი, ასეთი აზრი აქვს ნ. ნინოშვილის თხზულებას „მოსე მწერალი“. უნდა ვთქვათ, რომ ე. ნინოშვილი ნამდვილი მეცნიერე და მოწაფე იმ რეალურის მიმართულებებისა, რომელმაც პირველად იჩინა თავი ჩვენს ლიტერატურაში მესამოცე წლების ვასულს, განსაკუთრებით ქართულს ჟურნალს „კრებულში“.

რეალურივე საწყაოთი რომ გავზომოთ ილია ჭავჭავაძის ეტრული „უცნაურა ამაზია“, დავრწმუნდებით, რომ იგი ძალიან შორს ჩამორჩება უკან ნინოშვილის თხზულებას „მოსე მწერალს“. მართლაც დარად უცნაური შემთხვევა აღუდა დამსახურებულს პოეტს, თითქმის თვითონაც იქვეულობსო, ეთი თუ ასეთი ამაზია შემთხვევითი იყოს, მართლაც ამათ გავგონილიო, და არა ნამდვილი ნაყოფი ჩვენის აწინდელის ცხოვრებისაო. სახელიც რომ ისეთი დაურქმევია იმ დალოცვილს თავის ეტიუდისთვის... მიწურში გამოჩეკილი პედაგოგი-ფილოსოფოსი თავისსავე შესაფერს საწაი ფილოსოფოს ყრმის ჰპოვებს აღსაზრდელად. და თვითონ ეს ყრმაც ხომ უცნაური რამ

ამბავია. ჯერ ექსი წლისაც არ არის და ისეთ ფილოსოფურ კითხვებს იძლევა, ისეთს კრიტიკას უშვრება თავის დედ-მამას, რომ დარწმუნე ვანკვიფრდებოდა მის მოქმედებაზე. ივერიის* კრიტიკოსი წინააღმდეგ გვაფთხილებს: ჯერ არა ვაბედოთ-რა, არა თქვათ-რა ისეთ მწერლის ნაწარმოებზე, რომესაც მთელი საქართველოს ერის მთავა მუდამ ხელში აქვს და არამც თუ მისი განგებობის განვითარების შესვლელობა იცის, არამედ დრამობითაც აქვს აწონილი და გამოცნობილი ყოველის ქართველის ტუისის და გრძნობის მისწრაფებო. თუ „ივერიის“ კრიტიკოსს დავუგერებთ, ჩვენს წარჩინებულს მოხუც მწერალს წინასწარ-გრძნეულობის ნიჭიც უნდა ჰქონდეს ხეიეთ მიმადლებული. ბევრნი, იქნება, ასეც ფიქრობენ. ჩვენის აზრით კი, თუმცა ეს „უცნაური ამბავი“ ილ. ჭავჭავაძისა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ რაც არის, ისიც საკმაოა, რომ ითქვას: „საზარე ხარსაო, სანიკორემში შეეტყობო“. არ ვგონებ, რომ ჩვენზე უფრო ხანგრძლივად ვისმე თვალ-გაფაციკებით ვცდოს უფრო ჩვენის დამსახურებულის პოეტ-მწერლის ნიჭის თან-და-თან დამწიფებისათვის ამ ოც და-ხუთის წლის განმავლობაში. მისმა შემოქმედებითმა ძალამ უმადლეს წერტილამდე უყვე დიდი ხანია მიადწია და ჩამოქვეითებაც კი დაეტყო. მას აქეთ, რაც მან შექმნა „გლახა ჭრიაშვილი“ მომრიგებელ მოსამართლესთან სცენებში, სხვა მისი ბადალი შემდეგ არა დაუწერია რა. აი, ამ დროდან იწყება მისი შემოქმედებითი ძალის უკუშეღებლობა, უკან დახვევა, და თუ ოდესმე სტერია მას ხელში საქართველოს ერის მთავა, ამას შემდეგ კი, ევკობ, ხელიდან გაეარდნია და ვეღარც უპოვია იგი...

„ჩვენა შანაურა ამბავი“ ნ. ნიკოლაძისა ბევრი მხრით არის შესანიშნავი. მიუცილებლად დღესაც ბევრსა აქვს საჭირო-ბოროტად გამხდარი შარშანდელი ქალაქის არჩევნები, რომლის კრიტიკული განხილვა უცისრია ნიკოლაძის ჩვეულებრივ სხარტკალამსა. „კვლის“ რედაქციას მიანიც ვასაკურთხებით გულმოსაფუანად უნდა მიანიცდეს სამართლიანი მსჯავრი ჩვენი ქართველი ხმოსნების მოქმედებისა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ხმოსანთა მეთაურებს შორის ნ. ნიკოლაძეს ყველაზე უფრო დიდი დეაწლი მიუძღვის ქალაქის საბჭოს მოქმედებაში და როდესაც არჩევნის ბრძოლა გაიმართა, პირველობას მას აღიარებენ შეცილებია. ის იყო თვით საბჭოში მუდამ ბრძოლის ამტენი. ვის არ ახსოვს მისი ტექსტუბილით თავზარ დამტკენი ფელეტონები. იგი ხან ემუტრებო-

და ქალაქის გამგეობის პარტიას უკანონო მოქმედების გამოაშკარალებას და მის სამართალში მიცემას, ხან როგორც ამბობდნენ, ფელეტონის ყუმბარებს ისეროდა ამ ვანზრახვით, რომ მოპირდაპირეთა ბანაკი აერია, წინააღმდეგი პარტია დაცუალეყვებინა და იმით ბრძოლა მოეგო. მაგრამ სამწუხაროთ ყველა მისი მხედართ-მთავრული ოინები ამაო გამოდა. როცა იგი ქალაქის გამგეობას ბევრს უკანონო მოქმედებებს სწავებდა, შიშის მავიერთა მისი მოპირდაპირები ილიმებოდნენ; როცა იგი ყუმბარებს სერიადა მტრის რაზმების ასაშლელად, მისი მოწინააღმდეგენი მაშინ უფრო მჭიდროთ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ერთსულობით წინააღმდეგებოდნენ ქართველ ხმოსნების პარტიას. ამ შემთხვევაში უნდა ეთქვათ, რომ ქართველი ხმოსნები ძალიან დიდ დისციპლინას იჩენდენ და ნ. ნიკოლაძის ზურგს უმაგრებდნენ. გაზეთი „ივერია“, აღტაცებული ნ. ნიკოლაძის მოქმედებით, ავაშა, „ავაშა“ შესძახოდა მის ოინობას და თან უყვიროდა: „ავრემც ლმერთი ვადღეგრძელდესო“. ამ სხიხთ ნ. ნიკოლაძე ქალაქის საბჭოში გამოწვევაბა უკიდურესადანა.

ეკითხა ცოლად „კვლის“ რედაქციის თანამშრომელს გ. წერეთელს და დაიძახა: არ ვარკა ავეთი ერთმანეთზე დატაკებო. როცა ორი მამალი ვვრე დაეტაკებინ ერთმანეთს, უტყველად, ქორი წაიღებო. მაგრამ როგორც გამოწვევებული ჩხუბის დროს სჩვევია, შუამავალს უფრო ბევრი მოხვდა. იგი განვმირეს, შეაჩვენეს და „ქართველთაგან განრიცხეს“. ამას მოწმობს თვით „ივერიის“ რედაქციაც. მაგრამ ყველაზე უფრო მწვეფი და ზნეობის შემოახევი ჭრილობა გ. წერეთელს მიანიც თვით ნ. ნიკოლაძისაგან ერგო და ასეც უნდა ყოფილიყო. ჩხუბში ვინც უფრო გაფიცებულა, ის უფრო ღრმად აღატრის გამშველდებლს. საწყალ გ. წერეთელს თვითც სიძარ ამართლებინებს. დაიღუპა მან იმ დღით, რომ სამართალე მიანიც, ადრე თუ გვიან, თავს იჩინო და, აი, მოაწია ყამიც გამართლებისა. განუსახლებელმა მართლ-მსაჯულებამ ყველაზე უფრო დამნაშავეს პირით წარმოსთქვა პირუთნეველი სიძარტლე.

1890 წელს, როცა ქართველი ხმოსნები ამოურჩევიათ, თურმე ამომრიგებლებს პროგრამაც ჭკუიანი და შორს გამჭკურტი მიუტკიათ ხელში თავის ხმოსნებისათვის, როგორც ამას მოწმობს ნ. ნიკოლაძე: „...პირადობას ერადეთო, დაუმტკიცეთ ქალაქის ხალხს, რომ თქვენ პირადად არც ადგილს ეძებთ, არც გამოჩენას, არც არავისი მტრები ხართ... თქვენ იცით, აბა, რა სიფიზელს, რა სიძარკეებს გამოიჩინეთ ქალაქის

საქმეების და მოთავეების კრიტიკაში, გეოტხრესო — ამბობს ნ. ნიკოლაძე.

„საუბედურად ზროგრამის შედგენს წყნითის უფრო ადვილი უოფილა, ვიდრე დანჯა და ასრულებს...“

„ტივადისის სანჯოში წყნით ჩართული სმოსნების დასი ყუელაფითი ამ ემსწილ შეკრიდს ჭგავდა, რომელიც სრულ კრიბანს სემოსის, ვერ ვიდეკი ძლივ აშდოდ უღვამს იფრესს, სმოს განგებ ამბესებს და უმანყო აბრადს ჭრიალებს...“

„შოთავეთ ჰაიბნათი ნატევიემული ნ. ვიზადაშვილი. — ის იხვეწებოდა: ნურც ერთ ადგილზე ნუ წახსიბრავთ წყნით კანდიდატსო. — ეინ გავიგონ? კენწის ყრბ ისე არ მომხდარა, რომ წყნით ყუთა წინ არ დაგვესყუპებინოს, თითქოს ქალაქის საქმის გასარიტებულად ვი არა, ადგილების საშოკუნლად შეესლუღაყუთი ქალაქის სანჯოში...“ *

„შეერცხვით სხიბრად, ისე თქვენა მტერა შეერცხვენიდა. შეერცხვით, როცა კანდიდატები გავიშავეს, და უფრო მეტად მასინ, როცა გავკეთიორეს...“

„დასიცაღიანას მარტო ერთად წმობსტომას და ერთად დაუდომს ვი არ შეადგენს. დასიცაღიანას უნდა ერთა სავანის, ერთი ახსია, ერთი გული, ერთად შორბა და ერთად სწავლა. ეს ყუელაფიერი გეჟელდა...“ **).

„დასიცაღიანას გაზად ბეერი რამ სსხვაც გეჟელდა...“

„უფრო სხიბრად ისე ვიქტეოდით, რომ მოწინადადებებს შორის ვი არა, მოკეთებშიც კი უნდა უბადვადი — ეს კაცები ჰადის მეტს ვერაფერს იხვენსო...“

„შეეჩრებამ, ისტორიის უფრდინობამ, თავის მადის და ქეიფის მიყოლამ უოკელთეის ასე იცის...“ — ასე აბოლოცებს თავის მსჯავრს ნ. ნიკოლაძე.

ეს ყველაფერი მართალი და ჭკუიანადაც არის დახატული, მაგრამ თვით წერილის კოლოს, ნუ გამოი-

*) აი ამის შესახებ გ. წერეთელმა რა წარმოსთქვა „ქველი“ № 15, 1893 წ.

„სომხისა და ქართველთა მეთურს კაცებს დაავიწყდათ ნელ-ნელა ტაბუთობის აზრები და გახდენ მონანი ზომავზე მომტრებულის ცხოვრებისა, შეიქმნენ ოქროს თორას თაყვანის მცემელი, მამონის მსახურნი... ამ გარემოებამ, ესე იგი საკუთარი სარგებლობის ძიებამ, აწაბღ თუ სომხები და ქართველები, არამედ თვით ძველი და ახალი თობაა ერთისა და იმავე ხალხისა ერთმანეთს გადამტერა.“

„დღეს ვინც აბი. თანა მეთაურებზე ამოიღებს ხმას, ხმის ამომღებს და ნაკლულეენების მარქენებელს მაშინვე მეთაურთა დამქმუნებურ-რომელნიც იმათივე წყალობით ულკამაპურს სკამენ, ვამცემობას დასწაფებენ.“

**) გ. წერეთელი იმიტრამ გავრიტეთო ქართველთაგანო, ამბობდეს ჩვენი მეთაურები, რომ დისკოლინა დაარღვიო და ჩვენ არ მოგვიდგაო. ერთი მიზანათ, თუ ვი დისკოლინა გონიერი არ იყო, როგორც ნ. ნიკოლაძე აღიარებს, მაშ გ. წერეთელი როგორ ითამაშებდა ცხვარ-ფარაობას და როგორ ამოუდგებოდა გვერდით ასეთს ურიგო დისკოლინის მეთაურებს?

წყრება ბნი ნიკოლაძე, ძალიან ცუდი სუნი უდის. როცა ეს სტატია წაიკითხეთ, ისეთი შთაბეჭდილება გამოიტიანეთ, თითქოს ნ. ნიკოლაძე ამბობდეს: „ძალია შენ გლახზე და რძალი შენ ვასმენა“. თითქოს, ამ ჭკუის დარიცევაში ნ. ნიკოლაძეს უფრო სხვენი ჰყავდეს მხედველობაში და არა თავის თავი. მაგრამ არც ჩვენ ვართ ისე გულმორტეუნი და არც ბნი ნ. ნიკოლაძე ისე ბრძენი, რომ ოინს ეერ მიეხედვით, თუ რომ მას ეს ამბავი საკუთარი ჭკუის სასწავლებლად და ძველი ცოდვების მოსანანებლათ დაუწერია, დაეარწმუნებო, რომ ვაჭლარბუთოს ცოდვილს ძნელად თუ ეღირსება სინანული; ხოლო თუ სხვების ჭკუის სასწავლებლად ვაჭჯილა, მაშინ ჩვენც ასე უნდა ეუბასუხოთ: „მოდლორო პირველ თვით უანიცადე მოძღვრება ევე შენი“.

(შემდეგი იქნება) მახავალი

ზამთრის გაძო.



ოლის ევლიროს ვაზაფხულს, ვადვილელი გული მეზაზრისგან დალონებულმა ძალხუდ მოიეთქე სული მე;

არ მეშინოდეს სიცივის, იმისგან დაჩაგრული მე, ჩემ კარ მიდამოს უფლიდენ, მუშაკი ვეყო სრული მე...

როლის ევლიროს ვაზაფხულს ამწვანდეს ჩვენი ყანები, ყველა ეხარობდეთ მოსავლით ამ ნაირ ჩემისთანები.

სმენის მომხიბლავ მუშურსა ცაში ვაჭქონდეს გრაილი, მთების თვალსა სხარბელის შორ მყოფსა თორების ელეგ-პრიალი...

შემცულ ბუნების შეწერადეს ფრინველთ ჰიკეკი ცქრიალი; ყინვიდან თავისნილ ნაკადთა ვაჭქონდეს ჩქრიალ-ჩქრიალი...

თუ მოვესწარი ვაზაფხულს ზამთრისგან დაცემული მე, ფხვზე დაედქე, მეშაში ვადვილელ გული მე;

მაში რათ მიწდა სხვა გვარი ლბინი და სხარული მე; მოძმის კეთლი დღეს რაწახვე, ბედითაც ვეყო კრული მე.



მეფის ერეკლეს დროის ჯიარის კაცი

ჩვენი ქვეყნის რაინდი

(შემდეგი *)

II



ოცა სპირიდონ მკირიშვილია საოსტატო სემინარიაში სწავლა დაასრულა, ის გააწესეს ერთ შორეულ მივარდნილ სოფელში სოფლის სკოლის მასწავლებლად. სპირიდონ მივიდა დანიშნულ სოფელში და ნახა, რომ ერთ მხარეს კარგა მოხდელი სუფთა ნაშენი ხის სახლი დგას სოფლის სამართევლოსთვის, მეორე მხარეს კი უხვირა ნაშენი, პატარა ძველი სახლი, რომლის იატაკი თითქმის დამპალია, ფანჯრებში მინები უმეტესი ნაწილი დამტყეულია და რაც დარჩენილია, ისეა გატალახიანებული რომ ძლიერ გაარჩნე მინაა, თუ ფიცარიო. ჭერი ბევრგან გაშავებულია, რაიცა ამტკიცება, რომ სახლში წვიმის წყალი ჩამოდის. ეს იყო სკოლა. ამ კლასში შემდეგა სამკაული ელაგა: ოციოდე მირჯულმორაყული სკამი შეგირდებისათვის, ერთი პატარა ძველი სტოლი და ფეხებ მორაყული სკამი მასწავლებლისათვის და შეუღლები ხის დაფა. ამას გარდა არც სასწავლო ნივთები და არც ოთახი მასწავლებლისათვის უყოლას არ მოეპოვებოდა. ხალხი გულგრილად სურებდა სკოლის საქმეს. ბევრი მათში იმასაც იძახდა—სულაც არ არის ჩვენთვის საჭირო სკოლაო. მასწავლებელს მცარეკეავად რაცხდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ ერთ წელზე მეტს იშვიათად დარჩებოდა მასწავლებელი აქ და ხშირად სკოლა უმასწავლებლოდ რჩებოდა.

— რა ექნა, სად უნდა გავათიო დამე? დამკითხა სპირიდონ მამასახლისს, რაიცა ნახა, რომ მასწავლებლისთვის ოთახი არსად არისო.

მამასახლისმა ჩვეულებრივად შეიფხანა თავი, მერე მიუბრუნდა გლენებს, რომლებიც შეკრებილიყვნენ სოფლის სამართევლოს წინ და უთხრა:

— ხალხო, ვინმე თქვენგანმა მიეცით ბინა ე უბიტლის. მეტყით კი არა, ქირას მოგცემს.

— არ გაქვს ისეთი ბინა, რომ უცხო კაცი მიეიღოთ, უნასუსეს გლენებმა, რომელთაგან ბევრმა უსიამოვნოდ გადახედა ახალ მოსულს მასწავლებელს, თითქმის გულში ამბობსო— მოსულხარ რომ ფულეები აგვაციუნო, მეტს, ნუგეშინია, არას შეგებნო.

— ისე როგორმე კლასში უნდა მოეწყოთ და ამასობაში, ეგებმა, გიმუნეო ბინა სადმე, უთხრა მამასახლისმა სპირიდონს.

მეტე რაღა გზა იყო, სპირიდონ დაბინავდა სკოლაში. ღამით ეძინა ოღრო-ჩოღრო იატაკზე, დღით კი მიაღალებდა თავის ლოგინს და ნივთებს

ერთ კუთხეში, რომ მოსწავლე ბავშვებს არ გაეთელათ ფეხით. ასე გაატარა სპირიდონმა ორი თვე— სექტემბერი და ოკტომბერი. მაგრამ ნოემბერში დამდამობით ისეთი სიცივნეები დაიწყო, რომ ფარღალა კელღებთან სკოლაში შეუძლებელი იყო გაძლება. სპირიდონი იძულებული შეიქნა, როგორმე, სადმე სხვაგან აეჩინა ბინა. სპირიდონმა მიმართა ოთახისთვის ერთს ახალ გაცნობილს ღედელს, რომელიც იქვე, სკოლის სიახლოვეს ცხოვრებდა, და კარგი ხუთ-ოთახიანი ხის სახლი ედგა. ღედელმა უარი არ უთხრა სპირიდონს ოთახის ქირაობაზე, რადანაც თავისი პატარა ვაჟი სასულიერო მასწავლებელში მისაღებად უნდა მოემზადებია და სპირიდონ ამ შემთხვევაში გამოადგებოდა.

სპირიდონ გადავიდა ღედლის სახლში, მას მიუჩინეს ერთი პატარა ოთახი. როგორც უცხო, ღედლის ოჯახში, გარდა თითონ ღედლისა, მას ყველა თავს არიდებდა, ხან-და-ხან ღედელი თუ შევიდოდა მისთან სალაპარაკოდ და ღედლის ათი წლის ვაჟი გაკვეთილებისთვის, თორემ სხვა არავინ ევარებოდა. ღედლის უფროს ქალს, დესპინეს, რომელიც ამ დროს თორმეტის წლის იყო, კიდევ ევარებოდა სპირიდონის აუადმყოფური, გამხდარი, მღუმარე სახის დანახვა.

სპირიდონის აღზრდას, რომ თვლი გადაევილოთ, მკითხველო, აღარ გაგვიკვირდება, თუ რად ეღო მიხუტების ბეჭედი მის სახე-აგებულობას ყმაწვილობის დროს, ჩრთისთისაც ევარებოდა ის პირველ გაცნობისას ღამაშს და ჩიტივით ექრიალა დესპინეს. სპირიდონ იყო გლენ-კაცის შვილი. ჯანის სისუსტე ბავშობიდანვე ეჩნებოდა. ვინ იცის ჯან სალი და ძალუში რომ ყოფილიყო სპირიდონ, მამას, ეგებმა, არც კი გაემეტებია ის სკოლაში აღსაზრდელად, — იმის სკოლა ყანაოა ვთქვა, როგორც ამბობს საზოგადოდ გლენ-კაცობა. თავის მამა ხედავდა, რომ ჯან სუსტი სპირიდონა მათისი მუშაობით მაინცა და მაინც ეერ შეუძლებულებდა შრომის უღელს. ამასთან, სხვა გლენებთან, შედარებით, სპირიდონას მამა შეძლებული კაცი იყო და ამიტომ მისცა შვილი სოფლის სკოლაში იმ განზრახვით, რომ, რაიცა სტატოდელ წერა-კითხვას და ანგარიშს ისწავლის, სადმე დღესში დაიყენებ მოკვამავიერდო. მაგრამ რაჟი ერთხელ თავი შეყო სპირიდონმა სოფლის სკოლაში, დასრულებამდე აღარ მოშორებია მას და შემდეგ, დაასრულა თუ არა სოფლის სკოლაში სწავლა, აუტყუდა მამას—ქალაქის სკოლაში წამიყენეო. სოფლის მასწავლებელიც ხომ საშლევ არ აძლევდა სპირიდონის მამას—ნიჭიერი ბავშვია შენი შვილი, ნუ დაიდებ მის ცოდვას, წაიყენე ქალაქის სკოლაშიო. აქეთ ზოგიერთ მოკე-

*) იხ. „კვალის“ მე-5 №-რი, 1894 წ.

თემაც ურჩია—ნულარ მიატეც ჩხირს, რადგან კი ნი-
ქი აქეს, ბარემ ქალაქის სკოლაშიც დასარულგებე
სწავლა, მერე სადმე მწერლად შეეა, შენც გამოგა-
დგებდა და თავსკარ. ამ რიგად შეადინეს სპირი-
ლონის მამა (ის მაინც ასე ამაზღადა—შემაციდინესო)
და წაყვანინეს შვილი ქალაქის სასწავლებელში.
ამას შემდეგ, როგორც იყო, მამა აძლევდა სპირი-
ლონს სწავლის და წიგნების ფულს. ხარჯი—ფქვილი
და ღობიო—თავის ზურგით მიქანდა სპირილონს
შინიდან ყოველ კვირა დღეობით ოცი ვერსტის მან-
ძილზე. ის იღვდა ქალაქის განაპირას, მიწით შელე-
სილს ჭბაში, რომელიც ქირთი მიცემული ჰქონდა
(თეწი ოთხ აბაზად) მისთვის ერთ ახალ დასახლებულ
რუსის „მუქეს“. ყოველ საღამოობით მოატანდა
სპირილონ მახლობელი ტყიდან თითო ტყირთ ფიჩხს,
როცა დაღამდებოდა, სათილის მაიგურად, დაანთებ-
და ცეცხლს და მის სინათლეზე სწავლობდა გაკვე-
თილებს. საქმელს თავის ხელით იცეთებდა. ტანისა-
მისი მუდამ აკლდა. ორი ზამთარი „პარუსინას“
„ბლუზასი“ და შალვარის ამაზა ვაჭარდა. ასეთი
ცხოვრებით დასარულა სპირილონმა ქალაქის სასწავ-
ლებელი. საოსტატო სემინარიაში, რომელშიც შესე-
ლის ნება სპირილონმა თითქმის ძალად გამოგლიჯა
მამას ხელიდან, მისი ცხოვრება გაუმჯობესდა, რად-
განაც სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს. მაგრამ საიმისო
პირობები აქაც არ იყო, რომ სპირილონს დასუს-
ტებული ჯანს გაუმჯობესებია. მერე კიდევ სწავლა-
შიც სპირილონ გლხურ მუყაითობას იჩენდა, მუდამ
კითხულობდა წიგნებს, შეუსვენებლად მეცადინეობ-
და თავის განვითარებისთვის და ესეც, ცოტა არ
იყოს, ასუსტებდა მას ფიზიკურად. როცა საოსტა-
ტო სემინარია დაამთავრა, სპირილონ ოცი წლის
იყო, მაგრამ რომ შეზღუდვი კი გვეგონებოდა—ოც-
და ათის, თუ ოცდა თუთხმეტე წლის არისო.

როცა სკოლაში მეცადინეობას მორჩებოდა და
შევირდებეს გაუშვებდა, სპირილონ მივიღე დედლი-
სას, სკამდა სადილს, დაუძახებდა დედლის პატარა
ვაჟს, აუხსნიდა გაკვეთილს და შემდეგ შუალამიმდე
კითხულობდა წიგნებს.

ერთ დღეს სპირილონ ჩვეულებრივად თავის ოთა-
ხში იჯდა და წიგნი ეკირა ხელში. სახლის წინ, ბალ-
კონზე, დესპინეს და მის პატარა ძმას, რომელსაც
სპირილონ ასწავლიდა, გამოეტანათ უძინესის „РОД-
НОЕ СЛОВО“ და პირველი სწავლობდა უკანასკნელის
ხელმძღვანელობით რუსულ კითხვას. მაგრამ, რადგანც
დესპინეს ძმას ახალ-დაწყებული ჰქონდა რუსული
წერა-კითხვის სწავლა, ხშირად ცდებოდა რუსული
სიტყვების გამოკითხვაში. სპირილონმა გაიგონა ეს,
გამოვიდა ამაგიდ და ასწავლა თავის შევირდს, თუ
როგორ უნდა წაეკითხა. დესპინეს არ ესთამოვნა სპირი-

ლონის დანახვა,—ეინ ეხვეწებოდა ნეტაი, რომ მო-
ვიდა და გვაწავლიოსო, გასწყრა თავის გულში და
დააპირა წესელა, მაგრამ ზილობიანი ქალი იყო და
ველარ ჩაიღინა ასეთი უზღველი საქციელი. ის დარ-
ჩა და დაუდგო ყური სპირილონს. ბოლოს, როცა
სპირილონ საქმეს მორჩა და თავის ოთახსკენ გაზ-
რუნდა, დესპინემ გააყოლა უკან დამცინავი თელე-
ბი და დაცინვის ღმილი გამოიხატა მის ღამაზ ტუქებზე.
„თუმუკალა სასაცილოა, მაგრამ სწავლება კი კარ-
გი სკოლნია“ო, თქვა ბოლოს მან ფიქრებში. ის
რუსული სიტყებიც კარგად დაამახსოვდა დესპინეს,
რომლებიც სპირილონმა დაასწავლა მას და მის ძმას.
შემდეგ დღეებში ორ-სამჯელ კიდევ განმეორდა ეს
შემთხვევა.

ერთ დღეს დესპინეს ძმა დედამ საღლაც წაიტა-
ნა. მიუხედავად ამისა დესპინემ დანიშნულ დროს
ჩვეულებრივად გამოიტანა „РОДНОЕ СЛОВО“ და ახ-
ლა მარტამ დაუწყო კითხვა. დესპინე კითხულობ-
და წყნარ-ნაზი ხმით. რადგანაც სპირილონის ოთა-
ხი ამ დროს ღია იყო, სპირილონს გამოკვე-
ვით ესმოდა დესპინეს კითხვა და ის შეცდომადიც,
რომელიც ყმაწვილ ქალს მოსდიოდა კითხვაში. სპირი-
ლონს ბავშობიდანვე თანდაყოლილი ჰქონდა ერთი ჩვე-
ულება: „როცა ხედავდა ადამიანი რამეში ცდებოა,
არ შეეძლო მოეთიშინა და არ შეენიშნა ეს შეცდო-
მა. ახლაც; გაიგონა, თუ არა რომ დესპინე რუსულ
სიტყვებს დამახინჯებულად კითხულობსო, აღარ მოუ-
თმინა გულმა, გამოვიდა გარედ, მივიდა ყმაწვილ
ქალთან და უთხრა: „ეგერ კი არა, ის ესე უნდა წაი-
კითხოთ“ო. დესპინე არ მოელოდა ამას. „ჩემ ძმას
გაუსწორა შეცდომები, თვარა ჩემთან რა ხელი აქე-
სო“, ფიქრობდა ის. სკოლნიდა რომ სპირილონ მა-
საც დაუწყებდა შეცდომების გასწორებას, მაშინ ძმის
დაბრუნებამდე სულაც არ აიღებდა წიგნს ხელში,
მაგრამ ახლა რაკი ევრა მოვიდა საქმე, რაღა უნდა
ეჩნა, ყური დაუდგო სპირილონს. ამასთან თანამოყა-
რებაც ეუბნებოდა, ყმაწვილ ქალს—არ შერ-
ცხე, უნებოდა არ გამოიჩინო ამ უცხო კაც-
თანო. ის მუყაითად უსმენდა სპირილონს და როცა
რომელსამე სიტყვას მაშინათვე ისე ვერ წაიკითხავდა,
როგორც სპირილონმა ასწავლა, სირცხვილით წითლ-
დებოდა. კარგა ნახევარ საათზე მეტი მოუწდა სპირი-
ლონ დესპინეს სწავლებას. დესპინე ახლა ძლიერ კმა-
ყოფილი დარჩა სპირილონის სწავლებით, რადგანც
სპირილონმა ბევრი რუსული სიტყვის მართლად წა-
კითხვა ასწავლა და თან ქართულადაც დაასწავლა
იმ სიტყვების მნიშვნელობა. „ეს რა ყოფილა, რა
კარგი სწავლება ცოდნიო!“ ყმაყოფილებით ეუბნე-
ბოდა დესპინე თავისთვის და თან თხზავდა ფრაზებს
იმ რუსული სიტყებიდან, რომლებიც სპირილონმა

დასწავლა მას. ძლიერაც უხაროდა, რომ საქმოდ ბერი ფრაზა შეთხზა რუსულად. „ყოველ დღე რომ ამდენი მასწავლოს, რა აღრე დავისწავლი რუსულ წერა-კითხვას და ლაპარაკს!“ გაუბრძნა მას ფიქრებში. „მაგარა შენ ვერ ვეტყვი მასწავლე-მეთქი და ისე რისთვის უნდა მასწავლოს!“ თქვა ნაღვლიანად, მაგრამ საჩქაროდ იმედინა და დატანა: „დღეს ეთხოვინებ და ის ისეთი კაი კაცია, რომ უარს არ იტყვის.“ საღამოს, როცა დესპინეს დედა დაბრუნდა შინ, დესპინე მივიდა მასთან და გაბედულად უთხრა: — დედა მეც მინდა რუსული წიგნის სწავლა, თხოვედი უჩიტლს, რომ მასწავლოს.

— არა ქალის საქმეა რუსული! — პირველად გაუმტყუნა თავის ქალს დედამ. მაგრამ მოავიწინა, რომ ახლანდელ დროში ქალებს სკოლაშიაც კი ზრდიან ზოგიერთი შეძლებული მშობლებითა და უთხრა თავის ქალს:

— თუ კი გასწავლის, კარგი, ისწავლე.

— მე ვერ ვეტყვი. ან შენ თხოვე და ან მამა. უჩიტელი ისეთი კეთილი კაცია, ისე უყვარს სხვისი სწავლება, რომ უარს არ იტყვის, ოღონდ თქვენ კი უთხარით.

— ერი ჰა, მგონია, შენ კიდევ შეეყვარები. ეტუმრა დედამ თავის ქალს.

უშანკო გულის პატრონ დესპინეს დედის ხუმრობაზე შერცხება, გაწითლდა და გულ-მოსულად უპასუხა დედას:

— აბა, შემეყარება!... კეთილი კაცია-მეთქი ეთქვი, მერე რა! კეთილია!

— არა, შენ გენაცალოს დედა, ჩემო ლამაზო! გეტუმრე. — უთხრა დედამ დესპინეს, მიიკრა გულზე და დაუწყო კოცნა.

ამ საღამოს დესპინეს მამა შევიდა სპირიდონთან და უთხრა:

— ჩემ ქალსაც უნდა რუსულის სწავლა, ნუ დაიზარებთ, თქვენი ჭირიემ, ასწავლეთ.

— დილა კმაყოფილებით უპასუხა სპირიდონმა, რომელიც მართლა და კმაყოფილებას გრძობდა; როცა სხვას ასწავლიდა.

იმ დღიდან მოწყებულ დღეში საათ-ნახევარი შესწირა სპირიდონმა დესპინეს სწავლებას.

გავიდა ოთხი წელი. ამ დროს განმავლობაში სპირიდონ მუყაითად შრომობდა, როგორც სკოლაში, შეგარდნებთან ისე თითონ სკოლის გაუმჯობესობისთვისაც. ხალხს, რომელიც პირველად ისე აღმაცრივ იჭიანო თვალით უყურებდა მას, ახლა ძლიერ შეუყვარდა სპირიდონ, რადგანაც დანიხა, რომ სპირიდონ არ სჯერდებოდა მხოლოდ ფორმალურად ბავშვების სწავლებას, ის ხალხის მასწავლებელიც იყო, ხალხს ესარჩლებოდა, იღწვოდა მათი წარმატების-

თვის, არ ერიდებოდა ისეთ მოღვაწეობასაც კი, რომელიც პირადად მისთვის ძლიერ საშიშო იყო. მისმა მოღვაწეობამ ისე წაახალისა ხალხი, რომ თავისი სურვილით ააშენეს სკოლისთვის სკამად კარგი სახლი. სპირიდონ ახლა მის მეცადინეობაში იყო, რომ როგორმე ბიბლიოთეკა დაეარსებინა სკოლისთვის. საქირო წიგნები და ფული შეეგროვა, მაგრამ არ იქნა, მთავრობამ ნება არ დაართო ჯერჯერობით.

დესპინე ამ ოთხი წლის განმავლობაში მუყაითი შეგირდი იყო სპირიდონის. მართალია, მეოთხე წელს სპირიდონ ღელდის სახლიდან ახალ აგებული სკოლის ოთახში გადავიდა. მაგრამ სადღისთვის ისევ ღელდისას დადიოდა და დესპინეც ისევ-ისე განაგრძობდა სწავლას მისი ხელ-მძღვანელობით. ყმაწვილი ქალი იმდენად განვითარდა ამ ოთხ-წელს, რომ შეგირდ საგანში არც კი ჩამოუტრიალებოდა თავის მასწავლებელს. სპირიდონის წიგნები (სპირიდონს, ღარიბი კაცის პირობაზე, კაი შინაური ბიბლიოთეკა ჰქონდა) თითქმის სულ წაიკითხა. მშობლები უწყურებოდნენ: — ეის გავიფიქრებ. მერე კიდევ ახლა მოწიფული ქალი ხარ. მართალია, მასწავლებელი ამდენი ხანია ჩვენს ოჯახშია, პატიოსანი კაციც არის, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც უტეხო კაცი ქვია, აწ საქიროა მისგან თავი შორს დაიჭირო, თვარა ქვეყანა სხვაფერ იტყვის. მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში სპირიდონის ქადაგებამ და წიგნების კითხვამ საკმაოდ მტკიცე ნიადაგზე დაყვანა დესპინეს ხასიათი. — რა გინდათ, მე მშაჰს, რომ სწავლა საქიროა ადამიანისთვის და ესწავლობ, მე მშაჰს, რომ სპირიდონ სინდისიერი მასწავლებელია და სათაქლოდაც არ მიმანია, რომ მე მისი ხელმძღვანელობით ესწავლობდე, ეუბნებოდა დესპინე მშობლებს პასუხად. როგორც ზვეით მოიხსენიეთ თავ-დაპირველა დესპინე დასცინოდა სპირიდონს; შემდეგ, როცა სპირიდონმა სწავლება დაუწყო, დესპინემ შეცვალა სპირიდონზე თივის აზრი: „სპირიდონ მეტად კარგი მასწავლებელი ყოფილა, ვცდებოდი, რომ დაეცინოდო.“ — ეუბნებოდა თავისთვის. შემდეგ, როცა კარგა დაუყვარდა სპირიდონის ხასიათს, მსჯელობას და მოქმედებას, დესპინემ აღიარა თავის ფიქრებში: „სპირიდონ არა თუ კარგი მასწავლებელია, ის ნამდვილი კაცია, რომლისთანა ჩემს ნაცნობებში არც კი ურევიანო.“ რაც უფრო ახლო გაიწინა დესპინემ სპირიდონ, მით უფრო-და-უფრო თხოვა ყმაწვილ ქალს გულმა სპირიდონის სიხალისეს ყოფნა. მერე და მესამე წელს დესპინემ ქბადად იგრძნო, რომ მას აღარ შეუძლია უსპირიდონოდ გაძლება. საშინელი მოწყენილობა მოიკვიდა მის გულს, როცა სპირიდონ დროებითად სხვაგან წაივიდა. მერე-

თხე წეოს, როცა სპირტონ ახალ-აგებულს სკოლის ოთახში დაბნეიდა, დესპინემ მთელი ღამე ჩუმი ტირილით გაატარა, მაგრამ მეორე დღეს სპირტიდან სადილისთვის ისევ ველლისას მივიდა და დესპინემა ცუდი გოგონა — სპირტიდან მივე იღოს ჩვენსაო. ოღონდ მის სახლობეს კი ყოფილიყო და მესტ ჯერჯერობით დესპინეს გული არას თხოულობდა.

ერთი მოულოდნელი შემთხვევის გამო მეოთხე წლის დამლეც სპირტიდან იძულებული შეიქნა დაეტოვებია ის სკოლა, რომელსაც მან იმდენი ღვაწლი დასწო და გადასულიყო სხვა სოფელში მასწავლებლობდა. ძლიერ ატკინა გული სპირტიდან ამ გარემოებაში, რადგანაც კიდევ ბევრი რამ განზრახავა ჩრებოდა სისრულეში მოუყვანებოდა. ვინ იცის, ახლა ახალი მასწავლებელი განავრძობდა თუ არა მისგან დაწყებული საქმეს ეცდებოდა, თუ არა სპირტიდანის მეცადინეობით ფხვნი დაუწყებელი სკოლის საქმე რიგინადა წაეყვანა? გული წყდებოდა სპირტიდანს, მაგრამ რა ექნა? გარემოება ისე იყო, რომ დაუმორჩილებლობა ამ შემთხვევაში ტუდს შედგენს გამოიწვევდა. სადილისთვის რომ მივიდა, სპირტიდანმა ვაგებინა ღელის ოჯახს, რომ ხელ მიდის. ნასადილევს მოინდომა დესპინეს უკანასკნელ ვაკეთილს აუფხსნო. მაგრამ დესპინე სხვაგან წასულიყო. ცოტა არ იყო, სპირტიდანს ეყინა ეს: „რატომ, ახლა, გამომშვიდობების დროს, უკანასკნელი ვაკეთილი მიატოვა და სხვაგან წაიდა? ნუ თუ არ ანის ჩემმა კმაყოფილი და ამით უნდა დამიმტკიცოს თავისი უმადურობა? ოთხი წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ ვასწავლიდი და ახლა, გამოთხოვების დროს, უბრალო, სიტყვიერი მადლობაც კი არ უნდა მითხზას?! აკი, აქამოდ დე ამას მეუბნებოდა, რომ ჩემი, მეცადინეობით შექნა ის აღმანი, ჩემი მეცადინეობით ახილა გონების თაღი? ვინა მადლობა რასატორო? მაგრამ ასეთი უმადურობაც კი ვერ ამისხნა, რასუნდა მიეწეროს!“ — ამბობდა სპირტიდან ფიქრებში დაღრმებული, დაბრუნდა ღელის სახლიდან და მიიდა თავის ოთახს, რომლის დაკეტვა სხვაგან წასელოს დროს ჩვეულებად არ ჰქონდა. შეიღო კარები, დაინახა, რომ მის ლოგინზე ზის დესპინე.

— გაგვიკირდა, რომ შენ იქ დაატოვე და მე შენს ოთახში წაშეიციე? ჰქონდა დესპინემ დაღრმებული ხმით.

— არ გამეკირებია, მაგრამ არ ვიცი კი, რას მოასწავებს, — უპასუხა სპირტიდანმა.

— არა, ჯერ ეს მითხარი, მიღიხარ საშუამოდ?

— რა ვუყო, ვერ მოეწყო გარემოება და მივიღივარ.

— მეტი არაფერი?

— მეტი რა? მეც მწყენს შეჩვეულ ადგოს, კარგ ნაცნობებს რომ ეტოვებ, მაგრამ საქმე ასე თხოულობს და უნდა დავემორჩილო.

— მე მტოვებ? ხომ გითხარი უშენოთ გაძლებ აწი აღარ შემოდოდა-მეთქი? აგრე კარგად გაიგე ჩემი სიტყვა! დესპინეს თვალებზე მოადგა ცრემლები, მაგრამ ძალად შეიმავრა თავი ტირილისაგან.

სპირტიდანმა განაზობარედ, მაგრამ თან ვაკვირებულმა შეხედა დესპინეს. დიდი ხანია სპირტიდანის გულმა იგრანა დესპინეს სიყვარული, ბევრი დამეგობი გაათენებინა მას უძილოდ ამ სიყვარულმა, მაგრამ გამხელა ამ გრანობისა ერთხელაც კი არ განუზრახავს ერთი იმიტომ, რომ არ იცოდა, თუ დესპინესაც უყვარდა ის. მართალია, ახსოვდა, რომ დესპინემ უთხრა „უშენოდ გაძლება აწი აღარ შემოდოდა“, ამასთან ამხნედა, რომ დესპინე რაღაც თანაგრანობით ეტყვიდა, მაგრამ ყოველევს სპირტიდანს უბრალო მეგობრობა ევონა. მაგრამ „კიდევ რომ ვუყვარდე, — ფიქრობდა სპირტიდან — საშინელი თავმოყვარეობა იქნება ჩემი მხრით, რომ მე, ავადმყოფმა კაცმა, თან დატაკმა, შევიერთო ასეთი სრული ქმნილება ცოლად და ვაუფანწილო ის ტანჯვა და ნაკლულევაება, რომელიც მე მომელის ცხოვრებაში. დესპინე უნაკლული ქმნილებაა, შეხედება ვინმე მისებრ საღს კმაწეული კქნა, შევიყვარებს და ბედნიერი შეიქნება. რისთვის უნდა მოეთუპო ვე ბედნიერება! მაგრამ ახლა კი, როცა თითონ დესპინე ვითხებოდა: „მტოვებ?“ — აკი გითხარი აწი უშენოდ გაძლება აღარ შემოდოდა-მეთქი!“ სპირტიდანმა აღარ იცოდა, რა ეთქვა, ან რა ექნა.

— რა არის რომ ვაუშვიდი, რატომ არ მიმდევ პასუხს? — დაეკითხა დესპინე.

— დესპინე, ვაგუტყვობ და გეტყვი, რომ — დაიწყო მძიმედ და დაუტირებულად სპირტიდანმა — დიდი ხანია ჩემმა გულმა იგრანა შენი სიყვარული, იგრანა ისე მძლოვარად, რომ მთელ ღამეებს უძილოდ მატარებინებდა და მატარებინებს, მაგრამ გადაწყვეტიტ, რომ ვე სიყვარული ჩემსად გულში ჩავილა. ვადაწყვეტიტ იმიტომ, რომ ამ მოგონა თუ შენც ვიყვარებ. მაგრამ, თუნდა ვეცე მცოდნოდა, მე მაინც ამ ვადაწყვეტილებას დაეადგებოდი, რადგანაც არ მინდა ჩემი ცხოვრების ვარამი შენ გავანწილო, არ მინდა ვაგხადო იმ ტანჯვის მოწაწილედ, რომელიც მე შეხედება ცხოვრებაში. მე შენ მიყვარხარ და ამიტომ მსურს, რომ შენ ბედნიერი იყო და არა უბედური.

— მე უშენოდ სიცოცხლე არ შემოდოდა და აწი, როგორც ვინდა, ისე ვადაწყვეტიტ. — მოუჭრა სიტყვა დესპინემ.

— არც ის ვაშინებს, რომ მე ავადმყოფი ვარ, არც ის, რომ მულამ სილატაკეში იქნება? არ მოსტყუვდე, არ შეგადინოს პირველმა გრანობამ.

— ვგენი რაც შენ ჩამოთვალე, რაღაც ანგარიშიება, რომლებსაც სიყვარულთან არავითარი მნიშვნელობა და ძალა არ აქვს.

— მაგრამ არც სიყვარულს უნდა დაემონოს აღმანი განუხელოდ. სიყვარული გრანობა არის

და გრძობის ჩემომძლავნელი ყოველ შემთხვევაში გონება უნდა იყოს.

— სიყვარულს, ანუ, როგორც შენ ეძახი, გრძობას უარი უნდა მიყოს ადამიანმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ გრძობის დამცავადილობას ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა მოჰყვება. სხვა შემთხვევაში წერილმანი ანგარიშები სიყვარულთან მოსახდენებელი არ არის.

— დანაშაული არ იქნება, რომ იმ არსებას, რომელიც ისე ძლიერ მიყვარს, ჩემი ტანჯვა-ვარამი გაუფრწოლო, სილატაკეში მშვიერ მწყურვალს გავატარებინო სიკოცლოვ?

— თუ კი მაინც შენთან ცხოვრება ურჩევნია, ყოველივე ამის მიუხედავად? თუ კი შენთან სიკვდილი ურჩევნია სხვაგან სიკოცლოვ?

— კარგა დაუფიქრად, დღესანინ.

— მტერიდმტეგ წელში გადავიღი. მგონია, შემოდლია გვიარკვიო, რა მინდა და რა არა.

— მაშ ალაწევიტე?

— დიდსხანა გადაწყვიტევილი მაქვს.

— კიდევ გააფრთხილებ, კარგა დაუფიქრი.

— დაუფიქრი და კიდევ ვითხარია, რასაც მეთუბნება ჩემი გული და გონება. აწი შენ იცი, გინდა დამიჯერო და გინდაარა. ამას კიდევ გაგიფიქრებ— უშინოთ სიკოცლოვ არ შემოდლია. აწი გინდა მაცოცხლე და გინდა მომძიქლოვ და მომიკალი!

სპირიდონ კარგა ხანს ჩაუტყრებული იყო. მერე აიღო თავი სიყვარულით, მიაკყო დესპანეს თავისი მშვიდი თვალები და ათხრა:

— დესპანე, ვერ წარმოიადგენ, რა ბედნიერი ვარ! ჩემი სიკოცლოვ განახლდა, ნეტარების შუქით შეიბნა. დღეიდან დაწყებული ახალი ცხოვრება იწყება ჩემთვის. მაგრამ მიწინაა, რომ ჩემმა სიყვარულმა არ დატანჯოს, მეშინია, რომ ვერ შესძლო იმ გზაზე სვლა, რომელიც მეცხოვრებაში აღმოვიჩინე. ჩემი ცხოვრების გზა მტვად ეკლიანი და ძნელი სავალი იქნება.

— შენთან ჯოჯოხეთიციერ შემაშინებს. ოღონდ შენთან ვიყო და ყოველსავე ავიტან, ყოველსავე აღტყენებით უთხრა დესპანემ, რომელსაც სიყვარულის ტრემოლები მოედინა თვალებზე.

— მოშობლებმა რომ არ მოგკენ ნება? ჰკითხა სპირიდონმა.

— იმათ კარგად იციან ჩემი ხასიათი, ვერ მეტყვიან უარს. მაგრამ თუნდა კიდევ არ გახდენ თანხმა, სულ ერთია, მე მაინც წამოვაღლ შენთან, შენ ხომ არ გეშინია იმათი უარის?

სპირიდონს გვეცინა ამ კითხვაზე.

— არა, ეს რა სულელური კითხვა იყო! ვანა ვა იცი, რომ შენ ამისთანაების არ გეშინია. მაშ გათავადა, აწი ერთად ვიკურებებთ, ჩვენთვის, საკუთარად დესპანე მოგვინა სპირიდონს და ტყბილმა კოცნამ ჩაუტყბო ორივეს ტუჩები.

არ გასულა მას შემდეგ დიდი ხანი, რომ სოფელ X-ში სალაპარაკო სავნად ვახლა ახალბოხული მასწავლებელი და მისი მეუღლე: „კი ამხანაგები რომ გინახავს, ისე ეხმარებიან ერთმანეთს საქმეში. ორივე ისე ზრუნავს სკოლისთვის, როგორც კი

დღე-მამა თავის შვილის აღზრდაზე“ — ამბობდა ხალხი. ეს მასწავლებელი გახლდათ, მკითხველო, სპირიდონ მკირიშვილი, რომელმაც დიწყრა გჯავრი დესპანეზე და ახლა დესპანე და ის ცხოვრობდნენ სოფელ X-ში, სადაც სპირიდონ ვაჟყესა მასწავლებლად სახალხო სკოლების დირექტორმა. ცოლი და ქმარი მოთავსდნენ ერთ პატარა ოთახში, რომელიც სკოლის იყო მიდგმოლი. რაც შვილების სწავლებზე დრო მოუჩრებოდათ, წინების კითხვაში ატარებდნენ. ამათ შეგნებული ჰქონდათ ის ქვეშარტემა, რომ ადამიანს, რომელსაც სურს ხალხის წარმატებისთვის ცოტად თუ ბევრად იმღვავოს, კიდევ უნდა ესმოდა, რაში მდგომარეობს ეს წარმატება, რომ მოღვაწე თანამედროვე, სწავლა-მეცნიერებით უნდა ინათებდეს გზას. იციდენ, რომ დიდი ნაკლი ჰქონდათ ამ მხრივ და უნდობით, რაც შეიძლებოდა, შეემციარებინათ ეს ნაკლი. ამიტომაც მეცადინებოდნენ ისე მუყბითად, თითქოს კარგი შეგარიდ გაკვეთილის სწავლას შესდგომიათ. სპირიდონის ენერჯიას ერთი ორად მოეპადა დესპანეს შერთავს შემდეგ: ჯანზედაც კი გაუმჯობესება დაეტყო.

სპირიდონს ჰყავდა თავის საშობოლო სოფელში დღედა, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ მარტად-მარტა ღარსა ოჯახში. თავისი მტერე ვაჟამკირიდან სპირიდონ ერთ ნაწილს უჯახინდა მას და ყოველ დღესასწავლზე მიდიდა მასთან.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

საქველმოქმედო საქმე



აკრინა ჩიკაიძისა უცხადებს გულოთას მადლიერებას იმ პირთა, რომლებმაც, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს პრაკოვი ბესაროვის ძის ჩვენკელის სასარგებლოთ ფული გადასცეს ვებჰუდათ აქვე სიას:

- ლ. თ. ლოლოჟე 3 მ., ს. ბ. თოფურია 3 მ., ა. ს. საყვარელიძე 3 მ., კ. ნ. ჩიკაიძე 3 მ., ნ. ს. ვუგუშვილი 3 მ., გ. ს. აკოფივი 3 მ., ბ. ე. ლოსაბერიძე 2 მ., ნ. დ. ერისთავი 2 მ., დ. ნ. ჩიკაიძე 2 მ., კ. დ. ბაქრაძე 2 მ., ა. ი. ვამერველი 2 მ., კ. რ. ვოლირიძე 2 მ., დ. ბ. კირკელია 2 მ., ისებს ბაქრაძე 1 მ., იაკოვ ჩიხაკაძე 1 მ., ა. გ. წულუყიძე 1 მ., ი. ი. მიქაბერიძე 1 მ., იუსტიანი მაქვარიანი 1 მ., სოლომონ ხახუიშვილი 1 მ., ე. გუგუშვილი 1 მ., გ. კიხრია 1 მ., ოვანეზოვი 1 მ., ნინა კიშლარიკი 1 მ., ი. ქილაძე 1 მ., ს. ბურაღლი 1 მ., ი. მ. ჭყონია 1 მ., კ. ბ. ლორთქიფანიძე 1 მ., ზ. ე. გველესიანი 1 მ., ა. აღერწიანია 1 მ., ზ. კ. მავკარიანი 1 მ., მ. ციციანიშვილი 1 მ., კ. ს. გუგუშვილი 1 მ., ი. გ. ანდრონიკოვი 1 მ., ე. ი. პეტრიანიშვილი 1 მ., ს. ნარკიძე 1 მ., ა. ანგელიანი 1 მ., ი. გ. გველესიანი 1 მ., ე. არლოვსკია 1 მ., თ. ჰ. თუმანიკი 1 მ., ი. ჰ. ჯიანი 1 მ., ა. კიტაშვილი 1 მ., ბ. ახათიანი 50 კ.

სულ სამოცდაერთი მანეთი და ათი შუარი უყვე დაჯახენი იქნა დანიშნულებისამებრ.

რექტორ-გამომცემელა ხ. თ.-წერეთლისა.